

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საია ოზურგეთის საკრებულოში მომხდარ ინციდენტს აფასებს

საია მიიჩნევს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის – ბესო ქათამაძის ფიზიკური შეურაცხყოფა, შესაძლოა, წარმოადგენდეს ადამიანის დევნას სიტყვის, აზრის გამოხატვის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ქათამაძის განცხადებით, მიმდინარე წლის 15 ივნისს, ამავე საკრებულოს რამდენიმე წევრმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.^[1] დაპირისპირების მიზეზი გახდა მის მიერ სოციალური ქსელის საშუალებით გავრცელებული კრიტიკული მოსაზრებები ოზურგეთის საკრებულოს წევრების მიმართ.^[2] დაბარალელები აღნიშნავენ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა ის დაიბარეს საკრებულოს შენობაში, სადაც მას ფიზიკურად გაუსწორდნენ. შედეგად კი, მიიღო სხეულის არაერთი დაზიანება.

გემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პოლიციის სამმართველოში გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე, რაც გულისხმობს ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, რამაც დაბარალელების ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

საია მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოება, სავარაუდოდ, ხარვეზებით მიმდინარეობს:

- სისხლის სამართლებრივი დევნა მიმდინარეობს ერთი პირის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ბესო ქათამაძეს ფიზიკური შეურაცხყოფა დიდი ალბათობით, რამდენიმე პირმა მიაყენა;
- გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, მიუხედავად იმისა, რომ ბესო ქათამაძის მიმართ განხორციელებული ქმედება დიდი ალბათობით, შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის *ძალიან* პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას. კერძოდ, – ძალადობით, ან ძალადობის მუქარით ადამიანის დევნას სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

მივმართავთ საგამოძიებო ორგანოს, მსგავსი ფაქტების პრევენციის მიზნით, გამოძიება აწარმოოს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადაში, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, სისხლის სამართლის საქმის შესაბამისი კვალიფიკაციით.

დაბარალელები ბესო ქათამაძის ინტერესებს საია იცავს.

[1] <http://rustavi2.ge/ka/news/106781>

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



[2] <https://www.facebook.com/beso.qatamadze.509/posts/986755474821838>